შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ელთ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.ბათუმი

2020

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე..... 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 8

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 10

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 11-25

შენიშვნა 1. კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა..... 11
შენიშვნა 2. მომზადების საფუძველი..... 11
შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 12
შენიშვნა 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა 15
შენიშვნა 5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები 16
შენიშვნა 6. ფული და ფულის ეკვივალენტები 17
შენიშვნა 7. გაცემული სესხები 17
შენიშვნა 8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 19
შენიშვნა 9. აქტივების გამოყენების უფლება 20
შენიშვნა 10. მიღებული სესხები..... 20
შენიშვნა 11. საიჯარო ვალდებულებები..... 21
შენიშვნა 12. საპროცენტო შემოსავალი 21
შენიშვნა 13. საპროცენტო ხარჯი..... 22
შენიშვნა 14. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები 22
შენიშვნა 15. ფინანსური რისკების მართვა 22
შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეები 24
შენიშვნა 17. პირობითი ვალდებულებები..... 24
შენიშვნა 18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 25

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ელთ კომპანი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

ელგუჯა თურმანიძე

დირექტორი

2020 წლის 29 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ,,ელთ კომპანი“-ის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოდიფიცირებული მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ,,ელთ კომპანის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა "მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტის პროცესში დავადგინეთ, რომ სესხების შესაძლო გაუფასურების რეზერვის მოდელი არ შეესაბამება ფასს 9-ის ("ფინანსური ინსტრუმენტები") მოთხოვნებს, კერძოდ: კომპანია შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ვადაგადაცილებულ დღეებსა და უზრუნველყოფის ღირებულებებს იყენებს სესხების ჯგუფებად დაყოფის მიზნებისთვის (Loan Staging), რაც წარმოადგენს არასრულ მოდელს ფასს-ის მიხედვით შემუშავებულ ინსტრუქციასთან მიმართებაში, რომელიც ვადაგადაცილებული დღეების გარდა მოდელირებისთვის ასევე იყენებს მრავალ სხვა კრიტერიუმს, როგორებიც არის: საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, რესტრუქტურიზაცია, საგადასახადო შემოწმება, სესხების წინსწრებით დაფარვა, ლიკვიდურობა და ა.შ. ამას გარდა, კომპანიის მიერ გამოყენებული სტანდარტული განაკვეთები არ შეიცავს ისეთ კომპლექსურ პარამეტრებს, როგორებიცაა: სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD). ამ პარამეტრების არარსებობა მოდელში თავისმხრივ გულისხმობს იმას, რომ სესხის დარეზერვების პოლიტიკა არ შეიცავს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ინფორმაციას, რომელიც ფასს 9-ის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს ,,ელთ კომპანი“-ისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ხელმძღვანელობის რეპორტი მოგვეწოდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გამოცემის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულთან არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს ,,ელთ კომპანის“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს ,,ელთ კომპანის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ,,ელთ კომპანის“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ,,ელთ კომპანის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ,,ელთ კომპანი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს შპს ,,ელთ კომპანის“ ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

29 სექტემბერი 2020 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018 (გადაანგარიშებული)	01.01.2018 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
ფული და ფულის ექვივლენტები	**6**	1,397,458	1,264,503	1,425,648
გაცემული სესხები	**7**	47,661,660	28,750,800	23,494,285
ძირითადი საშუალებები	**8**	1,829,886	1,742,388	1,863,663
არამატერიალური აქტივები	**8**	2,614	3,098	3,731
აქტივების გამოყენების უფლება	**9**	1,831,244	-	-
საგადასახადო აქტივები		204,642	149,599	98,931
წინასწარ გადახდილი გადასახადები		169,837	296,244	-
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები		295,412	-	-
სხვა აქტივები		10,603	3,362	956
სულ აქტივები		**53,403,357**	**32,209,993**	**26,887,214**
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	**10**	43,954,483	26,090,732	21,528,456
საიჯარო ვალდებულებები	**11**	2,001,048	-	-
გადასახდელი გადასახადები		-	0	266,011
სხვა ვალდებულებები		12,533	5,743	627
სულ ვალდებულებები		**45,968,064**	**26,096,475**	**21,795,095**
კაპიტალი				
მფლობელთა კაპიტალი		2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		7,433,293	6,111,518	5,090,120
სულ კაპიტალი		**7,435,293**	**6,113,518**	**5,092,120**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**53,403,357**	**32,209,993**	**26,887,214**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____
ელგუჯა თურმანიძე
დირექტორი

_____
თამარ საფარიძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018 (გადაანგარიშებული)
საპროცენტო შემოსავალი	12	8,289,505	6,243,858
საპროცენტო ხარჯი	13	(4,397,526)	(3,159,994)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**3,891,979**	**3,083,864**
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი		800,360	569,313
საოპერაციო შემოსავალი		**4,692,339**	**3,653,177**
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,032,715)	(2,541,983)
კომერციული ხარჯი		(157,262)	(89,556)
ცვლილება საეჭვო მოთხოვნების რეზერვში		-	-
სხვა შემოსავალი		108,459	156,266
მოგება/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(50,021)	52,053
მოგება დაბეგვრამდე		**1,560,800**	**1,229,957**
მოგების გადასახადის ხარჯი		(239,026)	(208,558)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		**1,321,774**	**1,021,399**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები/(ხარჯები)		**1,321,774**	**1,021,399**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____ _____

ელგუჯა თურმანიძე
დირექტორი

თამარ საფარიძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**272,560**	**5,181,165**	**5,453,725**
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში (მე-3 შენიშვნა)	(270,560)	(91,045)	**(361,605)**
1 იანვარი, 2018	**2,000**	**5,090,120**	**5,092,120**
გაცემული დივიდენდი			-
მოგება წლის განმავლობაში		1,021,399	**1,021,399**
საწესდებო კაპიტალი			-
31 დეკემბერი, 2018	**2,000**	**6,111,518**	**6,113,518**
გაცემული დივიდენდი			-
მოგება წლის განმავლობაში		1,321,774	**1,321,774**
საწესდებო კაპიტალი			-
31 დეკემბერი, 2019	**2,000**	**7,433,293**	**7,435,293**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____ _____

ელგუჯა თურმანიძე
დირექტორი

თამარ საფარიძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2019	2018
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	55,693,015	36,026,728
საპროცენტო შემოსავლები და მიღებული ჯარიმები	8,741,174	7,420,677
სხვა საოპერაციო შემოსავლები	76,871	220,179
გაცემული სესხები	(77,766,156)	(41,753,705)
გადახდილი ხელფასები	(1,130,327)	(967,923)
გადახდილი გადასახადები	(610,134)	(1,192,959)
საოპერაციო ხარჯები	(1,698,581)	(1,052,653)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(16,694,137)**	**(1,299,657)**
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	10,921	14,408
ძირითადი საშუალებების შეძენა	(308,749)	(103,048)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(297,827)**	**(88,640)**
კაპიტალის შევსება		
მიღებული სესხები	43,796,188	30,427,408
სესხის პროცენტის დაფარვა	(972,691)	(1,784,939)
სესხის ძირითადი თანხების დაფარვა	(25,965,533)	(27,648,503)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**16,857,963**	**993,966**
საკურსო სხვაობის შედეგი	**266,955**	**233,187**
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	**132,955**	**(161,145)**
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1,264,503	1,425,648
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	**1,397,458**	**1,264,503**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____ _____

ელგუჯა თურმანიძე
დირექტორი

თამარ საფარიძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 1. კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ‘’ელთ კომპანი’’ დაფუძნებულია 2009 წელს საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. რეგისტრირებული მისამართია 26 მაისის ქუჩა № 29, ბათუმი, საქართველო. კომპანიის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ელგუჯა თურმანიძე (100%). შპს ,, ელთ კომპანი’’ არის ქართული კომპანია, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი და მოძრავი ქონებით, მვირფასი ლითონებით, ავტომანქანებით, კომპიუტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხების გაცემა.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის მესაკუთრე-ბენეფიციარი იყო:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ელგუჯა თურმანიძე	100%	100%
სულ	100%	100%

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოსაშვებად დაამტკიცა 2020 წლის 29 სექტემბერს.

საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ოფიციალური ვალუტა არის - ქართული ლარი (GEL). გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ოფიციალურ ვალუტაში გარიგების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მიმდინარე კურსით. ფულადი საშუალებები უცხოურ ვალუტაში ანგარიშგების დღისათვის კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საანგარიშო დღის სავალუტო კურსით. კურსის ყველა სხვაობა, რომელიც წარმოიშობა ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
1 EUR/GEL	3.2095	3.0701
1 GBP/GEL	3.7593	3.3955
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 TRY/GEL	0.4821	0.5076
100 RUB/GEL	4.6423	3.8588
1 AZN/GEL	1.6861	1.5786
1000 AMD/GEL	5.9682	5.5245

შენიშვნა 2. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

უწყვეტობის პრინციპი

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ხელმძღვანელობამ გაანალიზა ახლანდელი მაკროეკონომიკური გარემო საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და შეცდომები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშო პერიოდამდე კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა გულისხმობდა კლიენტებზე დაკისრებული ჯარიმების აღიარებას დარიცხვის მეთოდით. თუმცა მენეჯმენტმა გაანალიზა, რომ ჯარიმებიდან შემოსავლებზე საკასო მეთოდის გამოყენება უფრო გონივრულია, ვინაიდან უკეთ ასახავს რეალურ საოპერაციო შედეგებს და შესაბამისად გვაწვდის სწორ ინფორმაციას მსგავს შემოსავლებზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშო პერიოდამდე ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხორციელდებოდა წრფივი მეთოდით, თუმცა მენეჯმენტმა შეცვალა ცვეთის წრფივი მეთოდი, შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებულია რეტროსპექტულად, წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგების თითოეული შესაბამისი მუხლის გადაანგარიშებით, რომელზეც ცვლილება გავლენას ახდენს ხოლო შეცდომები გასწორებულია იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც შეცდომას ადგილი ჰქონდა:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**რეკლასიფიკაციამდე**	**ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში / შეცდომის გასწორება**	**გადაანგარიშებული**
გაცემული სესხები	29,398,854	- 648,053	28,750,800
ძირითადი საშუალებები	1,728,096	14,292	1,742,388
არამატერიალური აქტივები	3,227	- 129	3,098
საგადასახადო აქტივები	117,831	31,768	149,599
სხვა აქტივები	331,665	- 32,060	299,605
		- 634,182	

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**რეკლასიფიკაციამდე**	**ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში / შეცდომის გასწორება**	**გადაანგარიშებული**
გაუნაწილებელი მოგება	5,181,165	- 91,045	5,090,120
		- 91,045	

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**რეკლასიფიკაციამდე**	**ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში / შეცდომის გასწორება**	**გადაანგარიშებული**
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	685,865	- 116,552	569,313
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	- 2,586,504	44,521	- 2,541,983
სხვა შემოსავალი	513,726	- 357,460	156,266
მოგება/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	241,577	- 189,524	52,053
მოგების გადასახადის ხარჯი	- 277,346	75,879	- 201,467
		- 543,137	

ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკებში.

გაცემული სესხები

გაცემული სესხი წარმოადგენს არა-წარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით. გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება, რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც კომპანია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვდასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარებაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალსიწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით. მოგება და ზარალი რომელიც წრმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზრიდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ახსნა – განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენობა ნაგებობები	5%
მანქანა დანადგარები და სხვ.	20%
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%
არამატერიალური აქტივები	15%

მოგების გადასახადები

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებულნი არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, აქტივების საგადასახადო (დასაბეგრ) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებებზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგება). ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ღირებულებით.

საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები ხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

ახსნა – განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ჯარიმები, სხვა შემოსავლები და ხარჯები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რომელიც შეფასების თარიღისათვის, შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

რეალური ღირებულების იერარქია

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტორების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია ფართოდ იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსასაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო/ხელმისაწვდომ საბაზარო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

საანგარიშო თარიღისათვის კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეალური ღირებულების შეფასების მეთოდები ეფუძნება, მათ შორის, თვალსაჩინო არასაბაზრო მონაცემების გამოყენებას.

კომპანია რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის შემავალი მონაცემების შემდეგ იერარქიას იყენებს:

დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები აქტიურ ბაზარზე.

დონე 2 შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი (მაგრამ არა იდენტური) ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის; ან შეფასების სხვა ისეთი მეთოდები, რომელთა ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3 მონაცემები, რომლებიც ღიად ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ღიად ხელმისაწვდომ მონაცემებს და ასეთი არახელმისაწვდომი შემავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

შენიშვნა 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თადაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-12 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შენიშვნა 5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა, თავიანთი დატვირთვით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია:

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მოიცავს შესწორებულ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების სწორ კლასიფიკაციასა და გაზომვაზე. მათ შორის ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოანგარიშების, განახლებულ სავარაუდო საკრედიტო ზარალის მოდელს და ჰეჯირების ახალ საბუღალტრო მოთხოვნებს. ასევე მოიცავს ბასს 39-ის მიხედვით ფინანსური აქტივების აღიარება არ აღიარების მითითებებს.

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 აყალიბებს ყოვლისმომცველ სტრუქტურას, რაც განსაზღვრავს თუ რამდენად, რა ღირებულებით და როდის უნდა აღიარდეს შემოსავალი. 2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 15-მა ჩაანაცვლა შემოსავლების აღიარების არსებული პრინციპი, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები და ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები. ფასს 15- ის ამოსავალი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტისთვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი, შემოსავლების გამჟღავნების შესახებ, წარმოადგენს გაუმჯობესებულ მითითებებს ტრანზაქციებზე, რომლებიც სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი.

წილობრივი დაფარვის ტრანზაქციების კლასიფიკაცია და შეფასება - ფასს 2 - ის ცვლილება;

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ფასს 4 სადაზღვევო კონტრაქტებში - ფასს 4 -ის ცვლილება;

საინვესტიციო ქონების ტრანსფერები - ბასს 40 - ის ცვლილება;

ფასს 22 - უცხოური ვალუტის გარიგებები;

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარად.

კომპანიამ ფასს (IFRS) 16 დანერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციურ კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე. გარდამავალ პერიოდში, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს ადრე საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარებისთვის ბასს (IAS) 17-ის გამოყენებით. საიჯარო ვალდებულება შეფასდება დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, თავდაპირველი აღიარების თარიღში ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით დისკონტირების გზით.

ფასს 16-ზე გადასვლისას, მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი სასესხო განაკვეთი შეადგენს 10.9%-ს ლარში ხოლო 7.8%-ს დოლარში.

შენიშვნა 6. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული სალაროში	1,319,479	1,184,176
ფული ბანკში	77,979	80,327
სულ	**1,397,458**	**1,264,503**

ფული და ფულის ექვივალენტები ვალუტის მიხედვით:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ეროვნული ვალუტა	905,735	854,014
უცხოური ვალუტა	491,723	410,489
სულ	**1,397,458**	**1,264,503**

კომპანიის ფულადი სახსრები ძირითადად განთავსებულია სალაროში. ბანკები, სადაც კომპანიას აქვს განთავსებული ფულადი სახსრები, არ წარმოშობენ საკრედიტო რისკს კომპანიისთვის.

შენიშვნა 7. გაცემული სესხები

კომპანიას აქვს გაცემული ძვირფასი ლითონებით, უძრავი ქონებით, ავტომანქანებით, ტექნიკით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხები.

მთლიანი სასესხო პორტფელი ძირის, დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების მიხედვით

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)
ძირი	46,632,969	27,892,261
პროცენტი	1,028,691	858,539
ჯარიმა	-	-
მთლიანი სასესხო პორტფელი	**47,661,660**	**28,750,800**
გაუფასურების რეზერვი		
წმინდა პორტფელი	**47,661,660**	**28,750,800**

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

კომპანია მისაღებ სესხებზე ქმნის ანარიცხებს თუ არსებობს გაუფასურების მოლოდინი. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც შპს „ელთ კომპანი“ განსაზღვრავს არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა რომ მოხდა გაუფასურება:

შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო;

მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;

მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურს რეორგანიზაციას;

არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად , რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებლებზე; ან

უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავს აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულად ინაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლებს უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას არ უფიქსირდება რეზერვები. მენეჯმენტის რწმუნებით კომპანიას არ აქვს ისეთი ვადაგადაცილებული სესხების პორტფელი, რომლით გამოწვეულ ზარალსაც სრულად ვერ დაფარავს უზრუნველყოფების რეალიზაციიდან მიღებული თანხები. აღნიშნულ შეფასებას იწვევს კომპანიის წარსული გამოცდილება.

კომპანიის პორტფელი პროდუქტების მიხედვით

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)
სალომბარდე სესხები	45,155,445	24,197,569
იპოთეკური სესხები	2,473,792	4,344,999
სამომხმარებლო სესხები	32,423	208,232
სულ	**47,661,660**	**28,750,800**

კომპანიის პორტფელი ვალუტების მიხედვით

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გაცემული სესხები ეროვნულ ვალუტაში	44,280,064	23,621,467
გაცემული სესხები უცხოურ ვალუტაში	3,381,597	5,129,333
სულ	**47,661,661**	**28,750,800**

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	საოფისე ფართი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება						
დეკემბერი 31, 2017 (გადაანგარიშებული)	**1,234,179**	**483,551**	**96,687**	**432,794**	**6,794**	**2,254,004**
მატება		31,070	27,781	45,994		**104,845**
კლება		(18,274)	(10,817)	(15,669)	(996)	**(45,756)**
დეკემბერი 31, 2018 (გადაანგარიშებული)	**1,234,179**	**496,347**	**113,652**	**463,118**	**5,798**	**2,313,094**
მატება		61,713	44,846	202,190		**308,749**
კლება		(40,431)	-	(19,296)		**(59,727)**
დეკემბერი 31, 2019	**1,234,179**	**517,630**	**158,497**	**646,012**	**5,798**	**2,562,115**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						-
დეკემბერი 31, 2017 (გადაანგარიშებული)	**(117,544)**	**(147,668)**	**(23,882)**	**(94,456)**	**(3,062)**	**(386,612)**
მიმდინარე წლის ცვეთა	(55,832)	(72,813)	(17,869)	(54,103)	(569)	**(201,186)**
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე		14,243	1,442	3,574	931	**20,190**
დეკემბერი 31, 2018 (გადაანგარიშებული)	**(173,376)**	**(206,237)**	**(40,309)**	**(144,985)**	**(2,700)**	**(567,608)**
მიმდინარე წლის ცვეთა	(53,040)	(65,527)	(17,717)	(62,904)	(484)	**(199,672)**
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე		31,284	-	6,381		**37,664**
დეკემბერი 31, 2019	**(226,416)**	**(240,481)**	**(58,026)**	**(201,508)**	**(3,184)**	**(729,616)**
ნარჩენი ღირებულება						-
დეკემბერი 31, 2017 (გადაანგარიშებული)	**1,116,635**	**335,883**	**72,805**	**338,338**	**3,732**	**1,867,392**
დეკემბერი 31, 2018 (გადაანგარიშებული)	**1,060,803**	**290,110**	**73,343**	**318,133**	**3,098**	**1,745,486**
დეკემბერი 31, 2019	**1,007,763**	**277,148**	**100,471**	**444,503**	**2,614**	**1,832,499**

შენიშვნა 9. აქტივების გამოყენების უფლება

		საოფისე ფართების გამოყენების უფლება
საბალანსო ღირებულება		
დეკემბერი 31, 2018		**-**
მატება		2,352,373
კლება		
დეკემბერი 31, 2019		**2,352,373**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება		
დეკემბერი 31, 2018		**-**
მიმდინარე წლის ცვეთა	-	521,129
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე		
დეკემბერი 31, 2019	**-**	**521,129**
ნარჩენი ღირებულება		
დეკემბერი 31, 2018		**-**
დეკემბერი 31, 2019		**1,831,244**

კომპანია აქტივების გამოყენების უფლების ანგარიშზე აღრიცხავს ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან გრძელვადიანი იჯარით მიღებულ საოფისე ფართებს. კომპანია აქტივების გამოყენების უფლებას ამორტიზაციას არიცხავს წრფივად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

შენიშვნა 10. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიღებული სესხები ფიზიკური პირებისგან	9,968,245	7,442,122
მიღებული სესხები ბანკებისგან	33,986,239	18,648,609
სულ	**43,954,483**	**26,090,731**

მიღებული სესხები ვალუტის მიხედვით

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიღებული სესხები ეროვნული ვალუტა	32,546,592	17,495,070
მიღებული სესხები უცხოური ვალუტა	11,407,891	8,595,661
სულ	**43,954,483**	**26,090,731**

მიღებული სესხების სტრუქტურა

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიღებული სესხები	43,857,115	26,015,450
გადასახდელი პროცენტები	97,369	75,281
სულ	**43,954,483**	**26,090,732**

მიღებული სესხების დაფარვის ვადები

	1 წელში	2 წელში	3 წელში	4 წელში	5 წელში
სესხებზე გადასახდელები ეროვნულ ვალუტაში	36,121,769			1,148,086	
სესხებზე გადასახდელები უცხოურ ვალუტაში	1,886,013	936,275	390,114	10,300,945	625,442
სულ საიჯარო გადასახდელები	**38,007,782**	**936,275**	**390,114**	**11,449,031**	**625,442**

კომპანიას სს თიბისი ბანკსა და სს ლიბერთი ბანკში გახსნილი აქვს საკრედიტო ხაზები. საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებში სესხის დაფარვის ვადები 1 წელზე ნაკლებს შეადგენს. მიუხედავად ამისა მენეჯმენტს სჯერა რომ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებები გაგრძელდება. კომპანიას ასევე ლიბერთი ბანკისაგან აღებული აქვს კორპორატიული სესხი. კომპანიას ეკრძალება სესხების აღება ფიზიკური პირებისაგან, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დამფუძნებლისაგან აღებული სესხები.

შენიშვნა 11. საიჯარო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საიჯარო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	26,495	-
საიჯარო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	1,974,554	-
სულ	**2,001,048**	**-**

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის გრაფიკი

	1 წელში	2 წელში	3 წელში	4 წელში	5 წელში
საიჯარო გადასახდელები ეროვნულ ვალუტაში	12,000	9,000	9,000	750	-
საიჯარო გადასახდელები უცხოურ ვალუტაში	723,377	624,155	503,281	299,244	101,409
სულ საიჯარო გადასახდელები	**735,377**	**633,155**	**512,281**	**299,994**	**101,409**

შენიშვნა 12. საპროცენტო შემოსავალი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)
საპროცენტო შემოსავლები ეროვნულ ვალუტაში	7,370,691	4,715,649
საპროცენტო შემოსავლები უცხოურ ვალუტაში	918,814	1,528,209
სულ	**8,289,505**	**6,243,858**

შენიშვნა 13. საპროცენტო ხარჯი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საპროცენტო ხარჯები ბანკებიდან მიღებულ სესხებზე	3,308,262	2,068,164
საპროცენტო ხარჯები ფიზიკური პირებიდან მიღებულ სესხებზე	831,648	1,091,830
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე	257,616	-
სულ	**4,397,526**	**3,159,994**

შენიშვნა 14. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)
ხელფასის ხარჯი	1,419,123	1,213,272
ოფისის იჯარის ხარჯი	21,088	417,599
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	721,012	201,186
კომუნალური ხარჯი	67,802	65,409
ობიექტების დაცვის ხარჯი	41,120	35,961
მსესხებლებზე გაწეული შეღავათი	121,033	99,491
მომსახურების ხარჯი	91,704	84,808
სხვა ხარჯები	549,833	424,257
სულ	**3,032,715**	**2,541,983**

შენიშვნა 15. ფინანსური რისკების მართვა

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები - კომპანიის მიერ მიღებული სესხების ნაწილი მიღებულია აშშ დოლარში. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კომპანიისათვის.

ქვემოთ მოცემულია კომპანიას ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში).

	აქტივები 31 დეკემბერი, 2019	პასივები 31 დეკემბერი, 2019
USD	3,747,085	11,277,662
EUR	95,279	2,104,782
სხვ.	30,960	

ჯამი	**3,873,323**	**13,382,444**

	გავლენა აქტივის 2018		გავლენა პასივის 2018	
	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება
მოგება/(ზარალი)	774,665	(774,665)	(2,676,489)	2,676,489

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიას სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას. მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის არსებულ აქტივებსა და ვალდებულებებს დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება იმ მონაცემებს, რასაც მენეჯმენტი შიდა მმართველობითი მიზნებისათვის იყენებს.

ფინანსური აქტივები	**1 წელში**	**2 წელში**	**3 წელში**	**4 წელში**	**4 წელზე მეტი**	
ფული და ფულის ექვივალენტები	1,397,458					**1,397,458**
გაცემული სესხები	2,496,768	3,073,969	2,655,742	3,396,158	36039026.6	**47,661,663**
სულ ფინანსური აქტივები	**3,894,226**	**3,073,969**	**2,655,742**	**3,396,158**	**36,039,027**	**49,059,121**

ფინანსური ვალდებულებები	**1 წელში**	**2 წელში**	**3 წელში**	**4 წელში**	**4 წელზე მეტი**	
მიღებული სესხები	38,007,782	936,275	390,114	11,449,031	625,442	**51,408,644**
საიჯარო ვალდებულებები	735,377	633,155	512,281	299,994	101,409	**2,282,217**
სხვა ვალდებულებები	12,533					**12,533**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**38,755,692**	**1,569,430**	**902,395**	**11,749,026**	**726,851**	**53,703,394**
ლიკვიდურობის სხვაობა	**(34,861,466)**	**1,504,539**	**1,753,347**	**(8,352,868)**	**35,312,176**	**(4,644,273)**
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	**(34,861,466)**	**1,504,539**	**1,753,347**	**(8,352,868)**	**35,312,176**	**(4,644,273)**

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ექვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში	1,397,458	1,264,503
გაცემული სესხები	47,661,660	28,750,800
სულ	**49,059,118**	**30,015,303**

შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენას მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

პერიოდი	იჯარის ხარჯი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
2019	**375**	**831,648**	**30,025**
2018	**1,500**	**1,091,830**	**25,150**

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან

პერიოდი	მიღებული სესხი	გადასახდელი პროცენტი
31.12.2019	**9,929,071**	**39,174**
31.12.2018	**7,395,496**	**46,626**

შენიშვნა 17. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

შენიშვნა 18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის, სახელწოდებით COVID-19 (კორონავირუსი), შესახებ. საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის უცნობი ვირუსის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ეცნობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას. 2020 წლის დასაწყისში ვირუსი გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. მენეჯმენტი განიხილავს აღნიშნულ მოვლენას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად. მიუხედავად იმისა რომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიის საქმიანობის პროცესში მოცემულ შემთხვევას არ ქონია რაიმე არსებითი გავლენა, მისი სამომავლო ეფექტის პროგნოზირება შეუძლებელია. მენეჯმენტი განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალურია გაცვლითი კურსი გახლდათ შემდეგი:

	29 სექტემბერი, 2020
1 EUR/GEL	**3.8708**
1 GBP/GEL	**4.2819**
1 USD/GEL	**3.3203**
1 TRY/GEL	**0.4261**
100 RUB/GEL	**4.2140**
1 AZN/GEL	**1.9545**
1000 AMD/GEL	**6.8181**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი “

მმართველობის ანგარიშგება

(2019 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ბათუმი

2020

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, შესაბამისად.

- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.

- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის, თანხვდენილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 30 სექტემბერს

შპს „ელთ კომპანი“-ის დირექტორი

_____

ელგუჯა თურმანიძე

30 სექტემბერი 2020 წელი

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანის“ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, შესაბამისად მომზადებული, 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს, კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი, მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე ჩვენ ჩავატარეთ გარიგება, მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული მარწმუნებელი გარიგებების, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული) ფირმა იყენებს. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად გააჩნია, ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა მათ შორის დოკუმენტირებული პოლიტიკა, და პროცედურები რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

ჩვენ აუდიტის საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისად აქამდე ჩავატარეთ კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2020 წლის 29 სექტემბერს. 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები რომლებიც მოხდა ფინანსურ, ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება ,ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან ასევე განვახორცილეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა შედარება და შეჯერება.

მოსაზრება

ჩვენი აზრით:

- 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებსაქართველოს კანონის შესაბამისად.

- 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

30 სექტემბერი 2020 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი “

მმართველობის ანგარიშგება

(2019 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ბათუმი

2020

1. კომპანიის შესახებ

დასახელება: შპს „ელთ კომპანი“

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 245 625 765

რეგისტრაციის თარიღი: 07/04/2009

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, 26 მაისის ქუჩა, N29, სართ. 1, სექცია N2

გენერალური დირექტორი: ელგუჯა თურმანიძე

ტელეფონის ნომერი: 0422 22 22 32

ვებ-გვერდი: www.eltcompany.ge

2. შპს „ელთ კომპანი“-ს საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ელთ კომპანი“-ს, (შემდგომში მოხსენიებული როგორც კომპანია), წარმოადგენს საფინანსო კომპანიას, რომელიც ბაზარზე ოპერირებს უზრუნველყოფილი სესხების სასესხო პროდუქტებითა და სავალუტო ოპერაციებით. უზრუნველყოფის სახეებად გამოყენებულია ოქრო, ავტომობილები, ტექნიკა და უძრავი ქონება. სავალუტო საქმიანობის ნაწილში კომპანია მხოლოდ კონვერტაციის ოპერაციებს ახორციელებს ექვს ძირითად ვალუტაში.

ბაზარზე კომპანია წარმოდგენელია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში განთავსებული 20 ფილიალით, რომელიც ყოველთვიურად 50 000-ზე მეტ მომხმარებელს ემსახურება მხოლოდ სესხების ნაწილში (2017 წლიდან მხოლოდ ლარში) და უზრუნველყოფის მომსახურეობას 24 საათიან რეჟიმში. უწყვეტი ბიზნეს პროცესი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია როგორც P2B, ისე დისტანციური მომსახურეობების ფორმატში და მხარს უჭერს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმებს ნებისმიერ ოპერაციაზე.

გარდა ამისა კომპანია აქტიურადაა ჩართული კორუფციასთან ბრძოლაში, ებრძვის თაღლითობასა და ფულის გათეთრებას, თანამშრომლობს ეროვნული ბანკის შესაბამის განყოფილებებთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი კაპიტალითა და მოზიდული სახსრებით. საკუთარი კაპიტალი შედგება როგორც საწესდებო კაპიტალისგან, ისე, დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან.

კომპანია სტაბილურად ასაქმებს 140 თანამშრომელს საოპერაციო და ადმინისტრაციულ მიმართულებებში პროცენტული თანაფარდობით 15/85.

კომპანიას მართვის ნაწილში ყავს გამოყოფილი როგორც მიმდინარე ბიზნეს-პროცესების დაფარვაზე პასუხისმგებელი, ისე სტრატეგიულ განვითარებაზე ფოკუსირებული სტრუქტურული ერთეულები.

2019 წელს საპროცენტო შემოსავალი 8 289 505 ლარს შეადგენს, ხოლო საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება - 1 321 774 ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს 53 403 357 ლარს, ხოლო საკუთარი კაპიტალი 7 435 293 ლარია.

3. კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია ორიენტირებულია ზრდასა და განვითარებაზე, მუშაობს როგორც ფიზიკური გაფართოების სტრატეგიით, ასევე ბაზარზე წვდომის ინტენსიურობის გასაზრდელადაც. განვითარების ერთერთი ცენტრალური სტრატეგია ეყრდნობა გაციფრულების პროცესის გაღრმავებას როგორც მომხმარებლისათვის შესათავაზებელი სერვისების, ისე ოპერაციების მართვის ნაწილში.

4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

კომპანიას აქვს მოქმედი შიდა და გარე რისკები. შიდა რისკების სრული კონტროლი და აღმოფხვრა კომპანიის მენეჯმენტისათვის ხელმისაწვდომია.

კომპანიის შიდა რისკები იყოფა საოპერაციო და ფინანსურ რისკებად. საოპერაციო რისკების შესამცირებლად კომპანია ითვალისწინებს მარეგულირებელი ორგანოების ყველა სტანდარტს, აწარმოებს უსაფრთხოების სისტემის გამართული ფუნქციონირების მუდმივად გაუმჯობესებადი პოლიტიკის ფორმირებას - აღჭურვილია სამეთვალყურეო, სიგნალიზაციისა და მონიტორინგის სრულფასოვანი უზრუნველყოფებით.

მონაცემთა უსაფრთხოებისა და საიმედოობის დონის გასაზღდელად აუმჯობესებს სასერვერო ინფრასტრუქტურას და აწარმოებს მონაცემთა სამ-დონიანი შემნახველი ინფრასტრუქტურის მართვას.

ობიექტის ფანჯრები შემოსილია გისოსებით. ობიექტებს იცავს დაცვის პოლიცია. კომპანიის სალარო აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სტანდარტებს. კომპანიის სალაროები არის არანაკლებ 6 კვადრატული მეტრი. აღჭურვილია ბრონირებული მინითა და რკინის სეიფებით. სალაროებს აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელები და ორ-ორი მასიური რკინის კარი. სალაროში მომუშავე პერსონალი არის მაღალკვალიფიციური და სანდო. სალაროში არის ფულის სათვლელი მანქანები და ყალბი ფულის შესამოწმებელი მოწყობილობები.

სესხების უზრუნველყოფის სახით მიღებული ძვირფასეულობა ინახება ბანკის სეიფში.

კომპანია სწორად მართავს ფინანსურ რისკებსაც, როგორიცაა ლიკვიდურობის რისკი და კაპიტალის ადეკვატურობა. კომპანიას მუდმივად აქვს იმის საშუალება რომ დროულად დაფაროს თავისი ვალდებულებები. კომპანია არ გასცემს საბლანკო, არაუზრუნველყოფილ სესხებს რითაც მინიმუმამდე ამცირებს სესხის შესაძლო დაკარგვით მოსალოდნელ ზარალს.

კომპანია ყოველთვის დროულად იხდის გადასახადებს.

გარე რისკებია ისეთი რისკები, რომელთაც კომპანია ვერ აკონტროლებს, მაგრამ შეუძლია მიიღოს გარკვეული ზომები ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად ან ზარალის მინიმუმამდე შესამცირებლად.

გარე რისკებია: მაკროეკონომიკური რისკები, ეროვნული ვალუტის ხშირი ცვალებადობა, ეკონომიკური არასტაბილურობა, ინფლაცია, სტიქიები და კატასტროფები, ასევე პოლიტიკური ცვლილებები და მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული რეგულაციები.

კომპანია განსაკუთრებით მგრძნობიარეა ეროვნული ბანკის რეგულაციების მიმართ. საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვარი, სესხების მოცულობის შეზღუდვა, უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემის შეზღუდვა რეალურად აფერხებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სწრაფ განვითარებასა და ზრდას. მიუხედავად ამისა რომ ეს შეზღუდვები არახელსაყრელია, კომპანია ითვალისწინებს აბსოლიტურად ყველა ახალ კანონსა და რეგულაციას.

კომპანია ცდილობს მზად იყოს ნებისმიერი ცვლილებისა და რისკისთვის.

5. პანდემია და კრიზისის მართვის სტრატეგია;

COVID-19-ით გამოწვეული პანდემია ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე გლობალური კრიზისია. ამავე დროს, მისი ზემოქმედება გლობალურ ეკონომიკაზე ექსპონენციალურად იზრდება მოკლე და გრძელვადიანი ბიზნეს სირთულეებით. კორპორაციული სტრუქტურის თითოეული დონე თავის როლს უნდა ასრულებდეს კრიზისზე რეაგირებაში და უზრუნველყოფდეს საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

ჩვენმა კომპანიამ პანდემიის გავრცელების პირველივე საწყისებზე მოახდინა რიგი სახის აუცილებელი და დროული ღონისძიებების განხორციელება მათ შორის:

1. კომპანიის მენეჯმენტმა გამოიჩინა განსაკუთრებული ლიდერობა და შეინარჩუნა ჯანსაღი კორპორაციული კულტურა, რაც გულისხმობს:
   - ვაწარმოეთ მკაფიო და დროული კომუნიკაცია, დასაქმებულებთან, კომპანიის პარტნიორებსა თუ მომხმარებლებთან. თანამშრომლების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა ჩვენი კომპანიისთვის უპირველესი მნიშვნელობისაა;
   - კომპანიამ გამოხატა ერთგულება ვირუსის პრევენციის მიმართულებით ჯანდაცვის წარმომადგენლების მიერ გაცემული მითითებებისა თუ რეკომენდაციების მიმართ;
   - კომპანიამ შექმნა საგანგებო ჯგუფი, რომელიც ყოველდღიურად განიხილავდა ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკას, იმუშავებდა რეკომენდაციებს და ახდენდა მის მართვას;
2. კომპანიამ პანდემიის გავრცელების საწყისებზე უზრუნველყო დასაქმებულები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანი სამედიცინო ნიღაბი, აწარმოა სადეზინფექციო სამუშაოები;
3. კომპანიამ დაიწყო ზრუნვა ბიზნეს პროცესის გაციფრულებასთან დაკავშირება, შექმნა გაციფრულების ბიზნეს მოდელი;
4. კომპანიამ უზრუნველყო მომხმარებელთან ლოიალურობის პოლიტიკის შექმნა, რაც გამოიხატებოდა 3 (სამი) თვის განმავლობაში მომხმარებლებზე გაათავისუფლა საპროცენტო სარგებლის გადახდისაგან, ყოველგვარი ჯარიმისა თუ პირგასამტეხლოს დარიცხვის გარეშე.
5. კომპანიამ შეძლო სახსრების მობილიზება და მისი ეფექტური გამოყენებითი განკარგვა.

შპს „ელთ კომპანი“-ს დირექტორი

ელგუჯა თურმანიძე _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ელთ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.ბათუმი

2020

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე..... 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 8

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 10

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 11-25

შენიშვნა 1. კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა..... 11
შენიშვნა 2. მომზადების საფუძველი..... 11
შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 12
შენიშვნა 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა 15
შენიშვნა 5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები 16
შენიშვნა 6. ფული და ფულის ექვივალენტები 17
შენიშვნა 7. გაცემული სესხები 17
შენიშვნა 8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 19
შენიშვნა 9. აქტივების გამოყენების უფლება 20
შენიშვნა 10. მიღებული სესხები..... 20
შენიშვნა 11. სავაჭრო ვალდებულებები..... 21
შენიშვნა 12. საპროცენტო შემოსავალი 21
შენიშვნა 13. საპროცენტო ხარჯი..... 22
შენიშვნა 14. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები 22
შენიშვნა 15. ფინანსური რისკების მართვა 22
შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეები 24
შენიშვნა 17. პირობითი ვალდებულებები..... 24
შენიშვნა 18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 25

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ელთ კომპანი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ელგუჯა თურმანიძე

დირექტორი

2020 წლის 29 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ,,ელთ კომპანი“-ის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოდიფიცირებული მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ,,ელთ კომპანის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა "მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტის პროცესში დავადგინეთ, რომ სესხების შესაძლო გაუფასურების რეზერვის მოდელი არ შეესაბამება ფასს 9-ის ("ფინანსური ინსტრუმენტები") მოთხოვნებს, კერძოდ: კომპანია შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ვადაგადაცილებულ დღეებსა და უზრუნველყოფის ღირებულებებს იყენებს სესხების ჯგუფებად დაყოფის მიზნებისთვის (Loan Staging), რაც წარმოადგენს არასრულ მოდელს ფასს-ის მიხედვით შემოუშავებულ ინსტრუქციასთან მიმართებაში, რომელიც ვადაგადაცილებული დღეების გარდა მოდელირებისთვის ასევე იყენებს მრავალ სხვა კრიტერიუმს, როგორებიც არის: საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, რესტრუქტურიზაცია, საგადასახადო შემოწმება, სესხების წინსწრებით დაფარვა, ლიკვიდურობა და ა.შ. ამას გარდა, კომპანიის მიერ გამოყენებული სტანდარტული განაკვეთები არ შეიცავს ისეთ კომპლექსურ პარამეტრებს, როგორებიცაა: სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD). ამ პარამეტრების არარსებობა მოდელში თავისმხრივ გულისხმობს იმას, რომ სესხის დარეზერვების პოლიტიკა არ შეიცავს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ინფორმაციას, რომელიც ფასს 9-ის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს ,,ელთ კომპანი“-ისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ხელმძღვანელობის რეპორტი მოგვეწოდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გამოცემის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულთან არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ელთ კომპანის“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ელთ კომპანის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ,,ელთ კომპანის“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ,,ელთ კომპანის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ,,ელთ კომპანი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს შპს ,,ელთ კომპანის“ ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

29 სექტემბერი 2020 წელი

ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქუჩა №6; ტელ: 322 35 25 12; მობ: 593 31 40 22; E-mail: intelektauditi@gmail.com;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018 (გადაანგარიშებული)	01.01.2018 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
ფული და ფულის ექვივლენტები	6	1,397,458	1,264,503	1,425,648
გაცემული სესხები	7	47,661,660	28,750,800	23,494,285
ძირითადი საშუალებები	8	1,829,886	1,742,388	1,863,663
არამატერიალური აქტივები	8	2,614	3,098	3,731
აქტივების გამოყენების უფლება	9	1,831,244	-	-
საგადასახადო აქტივები		204,642	149,599	98,931
წინასწარ გადახდილი გადასახადები		169,837	296,244	-
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები		295,412	-	-
სხვა აქტივები		10,603	3,362	956
სულ აქტივები		**53,403,357**	**32,209,993**	**26,887,214**
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	10	43,954,483	26,090,732	21,528,456
საიჯარო ვალდებულებები	11	2,001,048	-	-
გადასახდელი გადასახადები		-	0	266,011
სხვა ვალდებულებები		12,533	5,743	627
სულ ვალდებულებები		**45,968,064**	**26,096,475**	**21,795,095**
კაპიტალი				
მფლობელთა კაპიტალი		2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		7,433,293	6,111,518	5,090,120
სულ კაპიტალი		**7,435,293**	**6,113,518**	**5,092,120**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**53,403,357**	**32,209,993**	**26,887,214**

ხელმძღვანელობის სახელით:

ელგუჯა თურმანიძე
დირექტორი

თამარ საფარიძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთა კომპანი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018 (გადაანგარიშებული)
საპროცენტო შემოსავალი	12	8,289,505	6,243,858
საპროცენტო ხარჯი	13	(4,397,526)	(3,159,994)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**3,891,979**	**3,083,864**
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი		800,360	569,313
საოპერაციო შემოსავალი		**4,692,339**	**3,653,177**
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,032,715)	(2,541,983)
კომერციული ხარჯი		(157,262)	(89,556)
ცვლილება საეჭვო მოთხოვნების რეზერვში		-	-
სხვა შემოსავალი		108,459	156,266
მოგება/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(50,021)	52,053
მოგება დაბეგვრამდე		**1,560,800**	**1,229,957**
მოგების გადასახადის ხარჯი		(239,026)	(208,558)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		**1,321,774**	**1,021,399**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები/(ხარჯები)		**1,321,774**	**1,021,399**

ხელმძღვანელობის სახელით:

ელგუჯა თურმანიძე
დირექტორი

თამარ სანგარიძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**272,560**	**5,181,165**	**5,453,725**
ცვლილება საღრიცხვო პოლიტიკაში (მე-3 შენიშვნა)	(270,560)	(91,045)	(361,605)
1 იანვარი, 2018	**2,000**	**5,090,120**	**5,092,120**
გაცემული დივიდენდი			-
მოგება წლის განმავლობაში		1,021,399	1,021,399
საწესდებო კაპიტალი			-
31 დეკემბერი, 2018	**2,000**	**6,111,518**	**6,113,518**
გაცემული დივიდენდი			-
მოგება წლის განმავლობაში		1,321,774	1,321,774
საწესდებო კაპიტალი			-
31 დეკემბერი, 2019	**2,000**	**7,433,293**	**7,435,293**

ხელმძღვანელობის სახელით:

ელგუჯა თურმანიძე
დირექტორი

2020 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ სუფარიძე
მთავარი ბუღალტერი

11-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2019	2018
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	55,693,015	36,026,728
საპროცენტო შემოსავლები და მიღებული ჯარიმები	8,741,174	7,420,677
სხვა საოპერაციო შემოსავლები	76,871	220,179
გაცემული სესხები	(77,766,156)	(41,753,705)
გადახდილი ხელფასები	(1,130,327)	(967,923)
გადახდილი გადასახადები	(610,134)	(1,192,959)
საოპერაციო ხარჯები	(1,698,581)	(1,052,653)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(16,694,137)**	**(1,299,657)**
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	10,921	14,408
ძირითადი საშუალებების შეძენა	(308,749)	(103,048)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(297,827)**	**(88,640)**
კაპიტალის შევსება		
მიღებული სესხები	43,796,188	30,427,408
სესხის პროცენტის დაფარვა	(972,691)	(1,784,939)
სესხის ძირითადი თანხების დაფარვა	(25,965,533)	(27,648,503)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**16,857,963**	**993,966**
საკურსო სხვაობის შედეგი	266,955	233,187
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	**132,955**	**(161,145)**
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1,264,503	1,425,648
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	**1,397,458**	**1,264,503**

ხელმძღვანელობის სახელით:

ელგუჯა თურმანიძე
დირექტორი

თამარ საფარაძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი“

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 1. კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ''ელთ კომპანი'' დაფუძნებულია 2009 წელს საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. რეგისტრირებული მისამართია 26 მაისის ქუჩა № 29, ბათუმი, საქართველო. კომპანიის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ელგუჯა თურმანიძე (100%). შპს ,, ელთ კომპანი'' არის ქართული კომპანია, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი და მოძრავი ქონებით, ძვირფასი ლითონებით, ავტომანქანებით, კომპიუტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხების გაცემა.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის მესაკუთრე-ბენეფიციარი იყო:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ელგუჯა თურმანიძე	100%	100%
სულ	100%	100%

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოსაშვებად დაამტკიცა 2020 წლის 29 სექტემბერს.

საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ოფიციალური ვალუტა არის - ქართული ლარი (GEL). გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ოფიციალურ ვალუტაში გარიგების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მიმდინარე კურსით. ფულადი საშუალებები უცხოურ ვალუტაში ანგარიშგების დღისათვის კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საანგარიშო დღის სავალუტო კურსით. კურსის ყველა სხვაობა, რომელიც წარმოიშობა ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
1 EUR/GEL	3.2095	3.0701
1 GBP/GEL	3.7593	3.3955
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 TRY/GEL	0.4821	0.5076
100 RUB/GEL	4.6423	3.8588
1 AZN/GEL	1.6861	1.5786
1000 AMD/GEL	5.9682	5.5245

შენიშვნა 2. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

უწყვეტობის პრინციპი

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ხელმძღვანელობამ გაანალიზა ახლანდელი მაკროეკონომიკური გარემო საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და შეცდომები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშო პერიოდამდე კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა გულისხმობდა კლიენტებზე დაკისრებული ჯარიმების აღიარებას დარიცხვის მეთოდით. თუმცა მენეჯმენტმა გაანალიზა, რომ ჯარიმებიდან შემოსავლებზე საკასო მეთოდის გამოყენება უფრო გონივრულია, ვინაიდან უკეთ ასახავს რეალურ საოპერაციო შედეგებს და შესაბამისად გვაწვდის სწორ ინფორმაციას მსგავს შემოსავლებზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშო პერიოდამდე ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხორციელდებოდა წრფივი მეთოდით, თუმცა მენეჯმენტმა შეცვალა ცვეთის წრფივი მეთოდი, შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებულია რეტროსპექტულად, წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგების თითოეული შესაბამისი მუხლის გადაანგარიშებით, რომელზეც ცვლილება გავლენას ახდენს ხოლო შეცდომები გასწორებულია იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც შეცდომას ადგილი ჰქონდა:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	რეკლასიფიკაციამდე	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში / შეცდომის გასწორება	გადაანგარიშებული
გაცემული სესხები	29,398,854	- 648,053	28,750,800
ძირითადი საშუალებები	1,728,096	14,292	1,742,388
არამატერიალური აქტივები	3,227	- 129	3,098
საგადასახადო აქტივები	117,831	31,768	149,599
სხვა აქტივები	331,665	- 32,060	299,605
		- 634,182	

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	რეკლასიფიკაციამდე	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში / შეცდომის გასწორება	გადაანგარიშებული
გაუნაწილებელი მოგება	5,181,165	- 91,045	5,090,120
		- 91,045	

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	რეკლასიფიკაციამდე	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში / შეცდომის გასწორება	გადაანგარიშებული
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	685,865	- 116,552	569,313
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	- 2,586,504	44,521	- 2,541,983
სხვა შემოსავალი	513,726	- 357,460	156,266
მოგება/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	241,577	- 189,524	52,053
მოგების გადასახადის ხარჯი	- 277,346	75,879	- 201,467
		- 543,137	

ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკებში.

გაცემული სესხები

გაცემული სესხი წარმოადგენს არა-წარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით. გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება, რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც კომპანია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვდასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარებაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით. მოგება და ზარალი რომელიც წრმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზრიდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობა ნაგებობები	5%
მანქანა დანადგარები და სხვ.	20%
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%
არამატერიალური აქტივები	15%

მოგების გადასახადები

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებულნი არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, აქტივების საგადასახადო (დასაბეგრ) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებებზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგება). ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ღირებულებით.

საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები ხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ჯარიმები, სხვა შემოსავლები და ხარჯები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რომელიც შეფასების თარიღისათვის, შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

რეალური ღირებულების იერარქია

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტორების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია ფართოდ იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსასაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო/ხელმისაწვდომ საბაზარო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

საანგარიშო თარიღისათვის კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეალური ღირებულების შეფასების მეთოდები ეფუძნება, მათ შორის, თვალსაჩინო არასაბაზრო მონაცემების გამოყენებას.

კომპანია რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის შემავალი მონაცემების შემდეგ იერარქიას იყენებს:

დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები აქტიურ ბაზარზე.

დონე 2 შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი (მაგრამ არა იდენტური) ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის; ან შეფასების სხვა ისეთი მეთოდები, რომელთა ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3 მონაცემები, რომლებიც ღიად ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ღიად ხელმისაწვდომ მონაცემებს და ასეთი არახელმისაწვდომი შემავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

შენიშვნა 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის

გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თადაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-12 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შენიშვნა 5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა, თავიანთი დატვირთვით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია:

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მოიცავს შესწორებულ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების სწორ კლასიფიკაციასა და გაზომვაზე. მათ შორის ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოანგარიშების, განახლებულ სავარაუდო საკრედიტო ზარალის მოდელს და ჰეჯირების ახალ საბუღალტრო მოთხოვნებს. ასევე მოიცავს ბასს 39-ის მიხედვით ფინანსური აქტივების აღიარება არ აღიარების მითითებებს.

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 აყალიბებს ყოვლისმომცველ სტრუქტურას, რაც განსაზღვრავს თუ რამდენად, რა ღირებულებით და როდის უნდა აღიარდეს შემოსავალი. 2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 15-მა ჩაანაცვლა შემოსავლების აღიარების არსებული პრინციპი, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები და ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები. ფასს 15- ის ამოსავალი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტისთვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი, შემოსავლების გამჟღავნების შესახებ, წარმოადგენს გაუმჯობესებულ მითითებებს ტრანზაქციებზე, რომლებიც სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი.

წილობრივი დაფარვის ტრანზაქციების კლასიფიკაცია და შეფასება - ფასს 2 - ის ცვლილება;

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ფასს 4 სადაზღვევო კონტრაქტებში - ფასს 4 -ის ცვლილება;

საინვესტიციო ქონების ტრანსფერები - ბასს 40 - ის ცვლილება;

ფასს 22 - უცხოური ვალუტის გარიგებები;

ფასს 16 - ფინანსური იჯარა

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარად.

კომპანიამ ფასს (IFRS) 16 დანერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციურ კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე. გარდამავალ პერიოდში, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს ადრე საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარებისთვის ბასს (IAS) 17-ის გამოყენებით. საიჯარო ვალდებულება შეფასდება დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, თავდაპირველი აღიარების თარიღში ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით დისკონტირების გზით.

ფასს 16-ზე გადასვლისას, მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი სასესხო განაკვეთი შეადგენს 10.9%-ს ლარში ხოლო 7.8%-ს დოლარში.

შენიშვნა 6. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული სალაროში	1,319,479	1,184,176
ფული ბანკში	77,979	80,327
სულ	**1,397,458**	**1,264,503**

ფული და ფულის ექვივალენტები ვალუტის მიხედვით:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ეროვნული ვალუტა	905,735	854,014
უცხოური ვალუტა	491,723	410,489
სულ	**1,397,458**	**1,264,503**

კომპანიის ფულადი სახსრები ძირითადად განთავსებულია სალაროში. ბანკები, სადაც კომპანიას აქვს განთავსებული ფულადი სახსრები, არ წარმოშობენ საკრედიტო რისკს კომპანიისთვის.

შენიშვნა 7. გაცემული სესხები

კომპანიას აქვს გაცემული ძვირფასი ლითონებით, უძრავი ქონებით, ავტომანქანებით, ტექნიკით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხები.

მთლიანი სასესხო პორტფელი ძირის, დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების მიხედვით

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)
ძირი	46,632,969	27,892,261
პროცენტი	1,028,691	858,539
ჯარიმა	-	-
მთლიანი სასესხო პორტფელი	**47,661,660**	**28,750,800**
გაუფასურების რეზერვი		
წმინდა პორტფელი	**47,661,660**	**28,750,800**

კომპანია მისაღებ სესხებზე ქმნის ანარიცხებს თუ არსებობს გაუფასურების მოლოდინი. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც შპს „ელთ კომპანი“ განსაზღვრავს არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა რომ მოხდა გაუფასურება:

შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო;

მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;

მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურს რეორგანიზაციას;

არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად , რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებლებზე; ან

უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავს აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულად ინაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლებს უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას არ უფიქსირდება რეზერვები. მენეჯმენტის რწმუნებით კომპანიას არ აქვს ისეთი ვადაგადაცილებული სესხების პორტფელი, რომლით გამოწვეულ ზარალსაც სრულად ვერ დაფარავს უზრუნველყოფების რეალიზაციიდან მიღებული თანხები. აღნიშნულ შეფასებას იწვევს კომპანიის წარსული გამოცდილება.

კომპანიის პორტფელი პროდუქტების მიხედვით

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)
სალომბარდე სესხები	45,155,445	24,197,569
იპოთეკური სესხები	2,473,792	4,344,999
სამომხმარებლო სესხები	32,423	208,232
სულ	**47,661,660**	**28,750,800**

კომპანიის პორტფელი ვალუტების მიხედვით

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გაცემული სესხები ეროვნულ ვალუტაში	44,280,064	23,621,467
გაცემული სესხები უცხოურ ვალუტაში	3,381,597	5,129,333
სულ	**47,661,661**	**28,750,800**

შენიშვნა 8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	საოფისე ფართი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება						
დეკემბერი 31, 2017 (გადაანგარიშებული)	1,234,179	483,551	96,687	432,794	6,794	2,254,004
მატება		31,070	27,781	45,994		104,845
კლება		(18,274)	(10,817)	(15,669)	(996)	(45,756)
დეკემბერი 31, 2018 (გადაანგარიშებული)	1,234,179	496,347	113,652	463,118	5,798	2,313,094
მატება		61,713	44,846	202,190		308,749
კლება		(40,431)	-	(19,296)		(59,727)
დეკემბერი 31, 2019	1,234,179	517,630	158,497	646,012	5,798	2,562,115
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						-
დეკემბერი 31, 2017 (გადაანგარიშებული)	(117,544)	(147,668)	(23,882)	(94,456)	(3,062)	(386,612)
მიმდინარე წლის ცვეთა	(55,832)	(72,813)	(17,869)	(54,103)	(569)	(201,186)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე		14,243	1,442	3,574	931	20,190
დეკემბერი 31, 2018 (გადაანგარიშებული)	(173,376)	(206,237)	(40,309)	(144,985)	(2,700)	(567,608)
მიმდინარე წლის ცვეთა	(53,040)	(65,527)	(17,717)	(62,904)	(484)	(199,672)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე		31,284	-	6,381		37,664
დეკემბერი 31, 2019	(226,416)	(240,481)	(58,026)	(201,508)	(3,184)	(729,616)
წარჩენი ღირებულება						-
დეკემბერი 31, 2017 (გადაანგარიშებული)	1,116,635	335,883	72,805	338,338	3,732	1,867,392
დეკემბერი 31, 2018 (გადაანგარიშებული)	1,060,803	290,110	73,343	318,133	3,098	1,745,486
დეკემბერი 31, 2019	1,007,763	277,148	100,471	444,503	2,614	1,832,499

შენიშვნა 9. აქტივების გამოყენების უფლება

	საოფისე ფართების გამოყენების უფლება
საბალანსო ღირებულება	
დეკემბერი 31, 2018	**-**
მატება	2,352,373
კლება	
დეკემბერი 31, 2019	**2,352,373**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	
დეკემბერი 31, 2018	**-**
მიმდინარე წლის ცვეთა	521,129
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-
დეკემბერი 31, 2019	**521,129**
ნარჩენი ღირებულება	
დეკემბერი 31, 2018	**-**
დეკემბერი 31, 2019	**1,831,244**

კომპანია აქტივების გამოყენების უფლების ანგარიშზე აღრიცხავს ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან გრძელვადიანი იჯარით მიღებულ საოფისე ფართებს. კომპანია აქტივების გამოყენების უფლებას ამორტიზაციას არიცხავს წრფივად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

შენიშვნა 10. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიღებული სესხები ფიზიკური პირებისგან	9,968,245	7,442,122
მიღებული სესხები ბანკებისგან	33,986,239	18,648,609
სულ	**43,954,483**	**26,090,731**

მიღებული სესხები ვალუტის მიხედვით

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიღებული სესხები ეროვნული ვალუტა	32,546,592	17,495,070
მიღებული სესხები უცხოური ვალუტა	11,407,891	8,595,661
სულ	**43,954,483**	**26,090,731**

მიღებული სესხების სტრუქტურა

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიღებული სესხები	43,857,115	26,015,450
გადასახდელი პროცენტები	97,369	75,281
სულ	**43,954,483**	**26,090,732**

მიღებული სესხების დაფარვის ვადები

	1 წელში	2 წელში	3 წელში	4 წელში	5 წელში
სესხებზე გადასახდელები ეროვნულ ვალუტაში	36,121,769			1,148,086	
სესხებზე გადასახდელები უცხოურ ვალუტაში	1,886,013	936,275	390,114	10,300,945	625,442
სულ საიჯარო გადასახდელები	**38,007,782**	**936,275**	**390,114**	**11,449,031**	**625,442**

კომპანიას სს თიბისი ბანკსა და სს ლიბერთი ბანკში გახსნილი აქვს საკრედიტო ხაზები. საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებში სესხის დაფარვის ვადები 1 წელზე ნაკლებს შეადგენს. მიუხედავად ამისა მენეჯმენტს სჯერა რომ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებები გაგრძელდება. კომპანიას ასევე ლიბერთი ბანკისაგან აღებული აქვს კორპორატიული სესხი. კომპანიას ეკრძალება სესხების აღება ფიზიკური პირებისაგან, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დამფუძნებლისაგან აღებული სესხები.

შენიშვნა 11. საიჯარო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საიჯარო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	26,495	-
საიჯარო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	1,974,554	-
სულ	**2,001,048**	**-**

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის გრაფიკი

	1 წელში	2 წელში	3 წელში	4 წელში	5 წელში
საიჯარო გადასახდელები ეროვნულ ვალუტაში	12,000	9,000	9,000	750	-
საიჯარო გადასახდელები უცხოურ ვალუტაში	723,377	624,155	503,281	299,244	101,409
სულ საიჯარო გადასახდელები	**735,377**	**633,155**	**512,281**	**299,994**	**101,409**

შენიშვნა 12. საპროცენტო შემოსავალი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)
საპროცენტო შემოსავლები ეროვნულ ვალუტაში	7,370,691	4,715,649
საპროცენტო შემოსავლები უცხოურ ვალუტაში	918,814	1,528,209
სულ	**8,289,505**	**6,243,858**

შენიშვნა 13. საპროცენტო ხარჯი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საპროცენტო ხარჯები ბანკებიდან მიღებულ სესხებზე	3,308,262	2,068,164
საპროცენტო ხარჯები ფიზიკური პირებიდან მიღებულ სესხებზე	831,648	1,091,830
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე	257,616	-
სულ	**4,397,526**	**3,159,994**

შენიშვნა 14. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)
ხელფასის ხარჯი	1,419,123	1,213,272
ოფისის იჯარის ხარჯი	21,088	417,599
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	721,012	201,186
კომუნალური ხარჯი	67,802	65,409
ობიექტების დაცვის ხარჯი	41,120	35,961
მსესხებლებზე გაწეული შეღავათი	121,033	99,491
მომსახურების ხარჯი	91,704	84,808
სხვა ხარჯები	549,833	424,257
სულ	**3,032,715**	**2,541,983**

შენიშვნა 15. ფინანსური რისკების მართვა

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები - კომპანიის მიერ მიღებული სესხების ნაწილი მიღებულია აშშ დოლარში. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კომპანიისათვის.

ქვემოთ მოცემულია კომპანიას ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში).

	აქტივები 31 დეკემბერი, 2019	პასივები 31 დეკემბერი, 2019
USD	3,747,085	11,277,662
EUR	95,279	2,104,782
სხვ.	30,960	

ჯამი	3,873,323	13,382,444

	გავლენა აქტივის 2018		გავლენა პასივის 2018	
	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება
მოგება/(ზარალი)	774,665	(774,665)	(2,676,489)	2,676,489

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიას სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას. მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის არსებულ აქტივებსა და ვალდებულებებს დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება იმ მონაცემებს, რასაც მენეჯმენტი შიდა მმართველობითი მიზნებისათვის იყენებს.

ფინანსური აქტივები	1 წელში	2 წელში	3 წელში	4 წელში	4 წელზე მეტი	
ფული და ფულის ექვივალენტები	1,397,458					1,397,458
გაცემული სესხები	2,496,768	3,073,969	2,655,742	3,396,158	36039026.6	47,661,663
სულ ფინანსური აქტივები	**3,894,226**	**3,073,969**	**2,655,742**	**3,396,158**	**36,039,027**	**49,059,121**

ფინანსური ვალდებულებები	1 წელში	2 წელში	3 წელში	4 წელში	4 წელზე მეტი	
მიღებული სესხები	38,007,782	936,275	390,114	11,449,031	625,442	51,408,644
საიჯარო ვალდებულებები	735,377	633,155	512,281	299,994	101,409	2,282,217
სხვა ვალდებულებები	12,533					12,533
სულ ფინანსური ვალდებულებები	**38,755,692**	**1,569,430**	**902,395**	**11,749,026**	**726,851**	**53,703,394**
ლიკვიდურობის სხვაობა	**(34,861,466)**	**1,504,539**	**1,753,347**	**(8,352,868)**	**35,312,176**	**(4,644,273)**
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	**(34,861,466)**	**1,504,539**	**1,753,347**	**(8,352,868)**	**35,312,176**	**(4,644,273)**

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ექვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში	1,397,458	1,264,503
გაცემული სესხები	47,661,660	28,750,800
სულ	**49,059,118**	**30,015,303**

შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენას მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

პერიოდი	პროცენტის ხარჯი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
2019	375	831,648	30,025
2018	1,500	1,091,830	25,150

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან

პერიოდი	მიღებული სესხი	გადასახდელი პროცენტი
31.12.2019	9,929,071	39,174
31.12.2018	7,395,496	46,626

შენიშვნა 17. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

შენიშვნა 18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის, სახელწოდებით COVID-19 (კორონავირუსი), შესახებ. საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის უცნობი ვირუსის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ეცნობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას. 2020 წლის დასაწყისში ვირუსი გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. მენეჯმენტი განიხილავს აღნიშნულ მოვლენას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად. მიუხედავად იმისა რომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიის საქმიანობის პროცესში მოცემულ შემთხვევას არ ქონია რაიმე არსებითი გავლენა, მისი სამომავლო ეფექტის პროგნოზირება შეუძლებელია. მენეჯმენტი განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალურია გაცვლითი კურსი გახლდათ შემდეგი:

	29 სექტემბერი, 2020
1 EUR/GEL	3.8708
1 GBP/GEL	4.2819
1 USD/GEL	3.3203
1 TRY/GEL	0.4261
100 RUB/GEL	4.2140
1 AZN/GEL	1.9545
1000 AMD/GEL	6.8181

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი “

მმართველობის ანგარიშგება

(2019 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ბათუმი

2020

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის, თანხვდენილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 30 სექტემბერს

შპს „ელთა კომპანი“-ის დირექტორი

ელგუჯა თურმანიძე

30 სექტემბერი 2020 წელი

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანის“ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, შესაბამისად მომზადებული, 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს, კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი, მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე ჩვენ ჩავატარეთ გარიგება, მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული მარწმუნებელი გარიგებების, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული) ფირმა იყენებს. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად გააჩნია, ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა მათ შორის დოკუმენტირებული პოლიტიკა, და პროცედურები რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

ჩვენ აუდიტის საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისად აქამდე ჩავატარეთ კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2020 წლის 29 სექტემბერს. 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები რომლებიც მოხდა ფინანსურ, ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება ,ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან ასევე განვახორცილეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა შედარება და შეჯერება.

მოსაზრება

ჩვენი აზრით:

- 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებსაქართველოს კანონის შესაბამისად.

- 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

30 სექტემბერი 2020 წელი

ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქუჩა №6; ტელ: 322 35 25 12; მობ: 593 31 40 22; E-mail: intelektauditi@gmail.com;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელთ კომპანი “

მმართველობის ანგარიშგება

(2019 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ბათუმი

2020

1. კომპანიის შესახებ

დასახელება: შპს „ელთ კომპანი“

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 245 625 765

რეგისტრაციის თარიღი: 07/04/2009

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, 26 მაისის ქუჩა, N29, სართ. 1, სექცია N2

გენერალური დირექტორი: ელგუჯა თურმანიძე

ტელეფონის ნომერი: 0422 22 22 32

ვებ-გვერდი: www.eltcompany.ge

2. შპს „ელთ კომპანი“-ს საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ელთ კომპანი“-ს, (შემდგომში მოხსენიებული როგორც კომპანია), წარმოადგენს საფინანსო კომპანიას, რომელიც ბაზარზე ოპერირებს უზრუნველყოფილი სესხების სასესხო პროდუქტებითა და სავალუტო ოპერაციებით. უზრუნველყოფის სახეებად გამოყენებულია ოქრო, ავტომობილები, ტექნიკა და უძრავი ქონება. სავალუტო საქმიანობის ნაწილში კომპანია მხოლოდ კონვერტაციის ოპერაციებს ახორციელებს ექვს ძირითად ვალუტაში.

ბაზარზე კომპანია წარმოდგენილია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში განთავსებული 20 ფილიალით, რომელიც ყოველთვიურად 50 000-ზე მეტ მომხმარებელს ემსახურება მხოლოდ სესხების ნაწილში (2017 წლიდან მხოლოდ ლარში) და უზრუნველყოფის მომსახურეობას 24 საათიან რეჟიმში. უწყვეტი ბიზნეს პროცესი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია როგორც P2B, ისე დისტანციური მომსახურეობების ფორმატში და მხარს უჭერს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმებს ნებისმიერ ოპერაციაზე.

გარდა ამისა კომპანია აქტიურადაა ჩართული კორუფციასთან ბრძოლაში, ებრძვის თაღლითობასა და ფულის გათეთრებას, თანამშრომლობს ეროვნული ბანკის შესაბამის განყოფილებებთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი კაპიტალითა და მოზიდული სახსრებით. საკუთარი კაპიტალი შედგება როგორც საწესდებო კაპიტალისგან, ისე, დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან.

კომპანია სტაბილურად ასაქმებს 140 თანამშრომელს საოპერაციო და ადმინისტრაციულ მიმართულებებში პროცენტული თანაფარდობით 15/85.

კომპანიას მართვის ნაწილში ყავს გამოყოფილი როგორც მიმდინარე ბიზნეს-პროცესების დაფარვაზე პასუხისმგებელი, ისე სტრატეგიულ განვითარებაზე ფოკუსირებული სტრუქტურული ერთეულები.

2019 წელს საპროცენტო შემოსავალი 8 289 505 ლარს შეადგენს, ხოლო საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება - 1 321 774 ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს 53 403 357 ლარს, ხოლო საკუთარი კაპიტალი 7 435 293 ლარია.

3. კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია ორიენტირებულია ზრდასა და განვითარებაზე, მუშაობს როგორც ფიზიკური გაფართოების სტრატეგიით, ასევე ბაზარზე წვდომის ინტენსიურობის გასაზრდელადაც. განვითარების ერთერთი ცენტრალური სტრატეგია ეყრდნობა გაციფრულების პროცესის გაღრმავებას როგორც მომხმარებლისათვის შესათავაზებელი სერვისების, ისე ოპერაციების მართვის ნაწილში.

4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

კომპანიას აქვს მოქმედი შიდა და გარე რისკები. შიდა რისკების სრული კონტროლი და აღმოფხვრა კომპანიის მენეჯმენტისათვის ხელმისაწვდომია.

კომპანიის შიდა რისკები იყოფა საოპერაციო და ფინანსურ რისკებად. საოპერაციო რისკების შესამცირებლად კომპანია ითვალისწინებს მარეგულირებელი ორგანოების ყველა სტანდარტს, აწარმოებს უსაფრთხოების სისტემის გამართული ფუნქციონირების მუდმივად გაუმჯობესებადი პოლიტიკის ფორმირებას - აღჭურვილია სამეთვალყურეო, სიგნალიზაციისა და მონიტორინგის სრულფასოვანი უზრუნველყოფებით.

მონაცემთა უსაფრთხოებისა და საიმედოობის დონის გასაზღდელად აუმჯობესებს სასერვერო ინფრასტრუქტურას და აწარმოებს მონაცემთა სამ-დონიანი შემნახველი ინფრასტრუქტურის მართვას.

ობიექტის ფანჯრები შემოსილია გისოსებით. ობიექტებს იცავს დაცვის პოლიცია. კომპანიის სალარო აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სტანდარტებს. კომპანიის სალაროები არის არანაკლებ 6 კვადრატული მეტრი. აღჭურვილია ბრონირებული მინითა და რკინის სეიფებით. სალაროებს აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელები და ორ-ორი მასიური რკინის კარი. სალაროში მომუშავე პერსონალი არის მაღალკვალიფიციური და სანდო. სალაროში არის ფულის სათვლელი მანქანები და ყალბი ფულის შესამოწმებელი მოწყობილობები.

სესხების უზრუნველყოფის სახით მიღებული ძვირფასეულობა ინახება ბანკის სეიფში.

კომპანია სწორად მართავს ფინანსურ რისკებსაც, როგორიცაა ლიკვიდურობის რისკი და კაპიტალის ადეკვატურობა. კომპანიას მუდმივად აქვს იმის საშუალება რომ დროულად დაფაროს თავისი ვალდებულებები. კომპანია არ გასცემს საბლანკო, არაუზრუნველყოფილ სესხებს რითაც მინიმუმამდე ამცირებს სესხის შესაძლო დაკარგვით მოსალოდნელ ზარალს.

კომპანია ყოველთვის დროულად იხდის გადასახადებს.

გარე რისკებია ისეთი რისკები, რომელთაც კომპანია ვერ აკონტროლებს, მაგრამ შეუძლია მიიღოს გარკვეული ზომები ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად ან ზარალის მინიმუმამდე შესამცირებლად.

გარე რისკებია: მაკროეკონომიკური რისკები, ეროვნული ვალუტის ხშირი ცვალებადობა, ეკონომიკური არასტაბილურობა, ინფლაცია, სტიქიები და კატასტროფები, ასევე პოლიტიკური ცვლილებები და მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული რეგულაციები.

კომპანია განსაკუთრებით მგრძნობიარეა ეროვნული ბანკის რეგულაციების მიმართ. საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვარი, სესხების მოცულობის შეზღუდვა, უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემის შეზღუდვა რეალურად აფერხებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სწრაფ განვითარებასა და ზრდას. მიუხედავად ამისა რომ ეს შეზღუდვები არახელსაყრელია, კომპანია ითვალისწინებს აბსოლიტურად ყველა ახალ კანონსა და რეგულაციას.

კომპანია ცდილობს მზად იყოს ნებისმიერი ცვლილებისა და რისკისთვის.

5. პანდემია და კრიზისის მართვის სტრატეგია;

COVID-19-ით გამოწვეული პანდემია ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე გლობალური კრიზისია. ამავე დროს, მისი ზემოქმედება გლობალურ ეკონომიკაზე ექსპონენციალურად იზრდება მოკლე და გრძელვადიანი ბიზნეს სირთულეებით. კორპორაციული სტრუქტურის თითოეული დონე თავის როლს უნდა ასრულებდეს კრიზისზე რეაგირებაში და უზრუნველყოფდეს საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

ჩვენმა კომპანიამ პანდემიის გავრცელების პირველივე საწყისებზე მოახდინა რიგი სახის აუცილებელი და დროული ღონისძიებების განხორციელება მათ შორის:

1. კომპანიის მენეჯმენტმა გამოიჩინა განსაკუთრებული ლიდერობა და შეინარჩუნა ჯანსაღი კორპორაციული კულტურა, რაც გულისხმობს:
   - ვაწარმოეთ მკაფიო და დროული კომუნიკაცია, დასაქმებულებთან, კომპანიის პარტნიორებსა თუ მომხმარებლებთან. თანამშრომლების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა ჩვენი კომპანიისთვის უპირველესი მნიშვნელობისაა;
   - კომპანიამ გამოხატა ერთგულება ვირუსის პრევენციის მიმართულებით ჯანდაცვის წარმომადგენლების მიერ გაცემული მითითებებისა თუ რეკომენდაციების მიმართ;
   - კომპანიამ შექმნა საგანგებო ჯგუფი, რომელიც ყოველდღიურად განიხილავდა ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკას, იმუშავებდა რეკომენდაციებს და ახდენდა მის მართვას;
2. კომპანიამ პანდემიის გავრცელების საწყისებზე უზრუნველყო დასაქმებულები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანი სამედიცინო ნიღაბი, აწარმოა სადეზინფექციო სამუშაოები;
3. კომპანიამ დაიწყო ზრუნვა ბიზნეს პროცესის გაციფრულებასთან დაკავშირება, შექმნა გაციფრულების ბიზნეს მოდელი;
4. კომპანიამ უზრუნველყო მომხმარებელთან ლოიალურობის პოლიტიკის შექმნა, რაც გამოიხატებოდა 3 (სამი) თვის განმავლობაში მომხმარებლებზე გაათავისუფლა საპროცენტო სარგებლის გადახდისაგან, ყოველგვარი ჯარიმისა თუ პირგასამტეხლოს დარიცხვის გარეშე.
5. კომპანიამ შეძლო სახსრების მობილიზება და მისი ეფექტური გამოყენებითი განკარგვა.

შპს „ელთ კომპანი“-ს დირექტორი

ელგუჯა თურმანიძე _____